სარჩევი

რა არის ახალი 2

ავტოსერვისი 2

ზოგადი აღწერა 2

ავტოსერვისის კონსტანტა, ცნობარები 2

განაცხადის დოკუმენტი 4

ოპერაციის ტიპი: მიწოდება კომპენსაციის გარეშე 11

ოპერაციის ტიპი: გარანტია 11

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტის გადავსება განაცხადის დოკუმენტიდან 11

ავტოსერვისი პროფილი 12

განაცხადის რეპორტი 13

გასწორებული შეცდომები 14

სხვა მოდიფიკაციები 14

ბალანსის რელიზი_1.3.7.1

02.04.2024

რა არის ახალი

ავტოსერვისი

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსში დაემატა ახალი ფუნქციონალი - ავტოსერვისი, რომლის საშუალებით შესაძლებელია პროგრამაში დაემატოს ავტომობილის, მოდელის, მარკის ცნობარები და გაფორმდეს განაცხადის დოკუმენტი.

განაცხადის დოკუმენტის საშუალებით შესაძლებელია პროგრამულად აღირიცხოს სერვისში შემოსულ მანქანებზე გასაწევი მომსახურება და დასამონტაჟებელი ავტო ნაწილები. ასევე შესაძლებელია ხელოსნების მიერ გაწეული მომსახურებისთვის გამომუშავებული ხელფასის აღრიცხვა.

ავტოსერვისის კონსტანტა, ცნობარები

ავტოსერვისის ფუნქციონალის გააქტიურება ხდება ადმინისტრირების მოდულიდან (ადმინისტრირება >>> გაყიდვები >>> ავტოსერვისი). კონსტანტის გააქტიურებისას დანაყოფების პანელში დაემატება ავტოსერვისი.

ფუნქციონალის გამოყენებისთვის აუცილებელია ადმინისტრირების მოდულში, მარაგების აღრიცხვის აწყობებში გააქტიურებული იყოს კონსტანტები: **„მარაგების აღრიცხვა საწყობების მიხედვით“** და **„შეკვეთები გადაადგილებაზე“**.

სერვისში შემოსული მანქანების ბაზაში დასარეგისტრირებლად მომხმარებელს შეუძლია დაამატოს ავტომობილის ცნობარი, სადაც ეთითება შემდეგი ინფორმაცია:

- **ვინ კოდი** (სავალდებულო ველი)
- **მარკა** (ეთითება მარკის ცნობარების სიიდან)
- **მოდელი** (ეთითება მოდელის ცნობარების სიიდან)
- **მფლობელი** (ეთითება მყიდველის ცნობარების სიიდან)
- **სახელმწიფო ნომერი**
- **კომპლექტაცია**
- **გამოშვების თარიღი**



ავტოსერვისის ფუნქციონალის გააქტიურებისას ნომენკლატურის ცნობარზე, აღრიცხვის პარამეტრებში, დაემატება ველი „ავტომობილი“. აღნიშნულ ველში ეთითება ბაზაში დარეგისტრირებული ავტომობილის ცნობარები. იმ შემთხვევაში, თუ არტიკული არ არის შევსებული, ავტომობილის მითითების შემდეგ არტიკულის ველი გადაივსება ვინ კოდით.



განაცხადის დოკუმენტი

ავტოსერვისის მოდულში დაემატა განაცხადის დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნისას შინაარსიდან გამომდინარე ეთითება ოპერაციის ტიპი:

- მიწოდება კომპენსაციით
- მიწოდება კომპენსაციის გარეშე
- გარანტია



ქუდურ ნაწილში ივსება ინფორმაცია ავტომობილის და მყიდველის შესახებ.

განაცხადის დოკუმენტის შექმნა ხდება ერთი ავტომობილისთვის ერთ კონკრეტულ საწყობზე. მთავარ ჩანართზე მოცემულია შემდეგი რეკვიზიტები:

- **ავტოსერვისის საწყობი** - საჭიროა შეივსოს იმ საწყობით, საიდანაც ხდება სერვისისთვის საჭირო მარაგების გადმოადგილება
- **სერვისის საწყობი** - საჭიროა მიეთითოს საწყობი, სადაც ხდება სერვისის გაწევა და რომელ საწყობზეც გაფორმდება რეალიზაციის დოკუმენტი
- **მძღოლი**
- **ფასის ტიპი**
- **სერვისის დაწყების დრო**
- **სერვისის დასრულების დრო** - ავტომატურად ივსება განაცხადის დოკუმენტის დასრულებისას მიმდინარე თარიღით
- **გარბენი**
- **მფლობელი** - ავტომატურად ივსება ავტომობილის ცნობარზე მითითებული მფლობელით, თუმცა შესაძლებელია ხელით რედაქტირება

მომსახურების ჩანართი

მომსახურების ჩანართში არის ორი ცხრილური ნაწილი - **მომსახურება და თანამშრომელთა გამომუშავება.**



მომსახურების ცხრილის შევსება შესაძლებელია როგორც დამატება ღილაკით, ასევე ექსელით. არჩევადია მხოლოდ მომსახურების ტიპის ნომენკლატურები.

თანამშრომელთა გამომუშავების ცხრილში შესაძლებელია მიეთითოს რომელმა თანამშრომელმა შეასრულა კონკრეტული სამუშაო. აუცილებელია შეივსოს დარიცხვის ტიპის და სამუშაოს ველები (სამუშაოს ტიპის ნომენკლატურა).

იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება გაუწია ერთზე მეტმა თანამშრომელმა, სამუშაოს შევსების ღილაკით შესაძლებელია ერთიანად გადაივსოს აღნიშნული ინფორმაცია.

ღილაკი „განაწილება კოეფიციენტის მიხედვით“ პროგრამა მომსახურების ჩანართის ჯამურ თანხას გადაანაწილებს თანამშრომლებზე მითითებული კოეფიციენტების მიხედვით.

საქონლის ჩანართი

საქონლის ჩანართში ივსება ავტომობილზე დასამონტაჟებელი ნაწილები. ცხრილის შევსება შესაძლებელია როგორც დამატება და შერჩევა ღილაკებით, ასევე ექსელის ფაილის ჩატვირთვით.

საჭირო რაოდენობაში ეთითება საქონლის ის რაოდენობა, რაც საჭიროა სერვისის გაწევისთვის. **შეკვეთილი რაოდენობისა** და **ნაშთის** ველები არ არის რედაქტირებადი.

ნომენკლატურის ცხრილის შევსება:

ველი	აღწერა
ნომენკლატურა	გაყიდვის ობიექტი, აირჩევა ნომენკლატურის ცნობარიდან.
არტიკული	ავტომატურად ივსება ნომენკლატურაზე მითითებული მნიშვნელობით
ერთეული	ზომის ერთეული, რომელშიც ხდება საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია. მითითებულია ნომენკლატურის აღრიცხვის პარამეტრებში
საჭირო რაოდენობა	გასაყიდი რაოდენობა
შეკვეთილი რაოდენობა	არ არის რედაქტირებადი. **ივსება განაცხადის დოკუმენტის საფუძველზე დაფიქსირებული შეკვეთა გადაადგილების დოკუმენტის მიხედვით**
ნაშთი	არ არის რედაქტირებადი ველი. **ივსება შეკვეთა გადაადგილების საფუძველზე შექმნილი გადაადგილების დოკუმენტის მიხედვით**
ფასი	შეივსება დოკუმენტში მითითებული ფასის ტიპის მიხედვით, თუ ფასი დადგენილია
ფასდაკლების %	ეთითება მექანიკურად
დღგ-ის განაკვეთი	ავტომატურად ივსება ნომენკლატურაზე განსაზღვრული მნიშვნელობით: „ჩვეულებრივი“, „ნულოვანი“ ან „არ იბეგრება“.
თანხა	გაიანგარიშდება ფასისა და რაოდენობის ნამრავლით
თანხა დღგ-ის ჩათვლით	სრული თანხა დღგ-ის ჩათვლით.

საქონლის მოთხოვნა სერვისის საწყობში

მომხმარებელი განაცხადის დოკუმენტის საფუძველზე აფორმებს დოკუმენტს „შეკვეთა გადაადგილებაზე“.



შეკვეთის დოკუმენტში ცხრილი გადაივსება საქონლის ჩანართიდან. ნომენკლატურის რაოდენობა გამოიანგარიშება საჭირო რაოდენობას მინუს ნაშთის მნიშვნელობა.
გამგზავნი საწყობი შეივსება განაცხადში მითითებული ავტონაწილების საწყობის მნიშვნელობიდან, მიმღები საწყობი კი - სერვისის საწყობიდან.

შეკვეთის დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, შესაძლებელია გაფორმდეს საქონლის აგროვების (თუ ბაზაში ჩართულია ფუნქციონალი) ან საქონლის გადაადგილების დოკუმენტი.



იმ შემთხვევაში თუ ჯერ ხდება საქონლის აგროვება, აუცილებელია, რომ აგროვების საფუძველზე შეიქმნას საქონლის გადაადგილების დოკუმენტი.

განაცხადი სერვისის საწყობზე ნაშთს აღიქვამს უშუალოდ ამ დოკუმენტის საფუძველზე გაფორმებული შეკვეთის და საქონლის გადაადგილების დოკუმენტებიდან.

მას შემდეგ რაც მოხდება შეკვეთის და საქონლის გადაადგილების დაფიქსირება, განაცხადის დოკუმენტში **შეკვეთილი რაოდენობისა და ნაშთის ველების გადავსებისთვის საჭიროა გადათვლის ღილაკზე** დაჭერა.



გადათვლის ღილაკი განაახლებს ინფორმაციას შესაბამის ველებში.

იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია არ იქნება განახლებული, პროგრამა დოკუმენტს არ დაგვასრულებინებს და გამოიტანს შესაბამის შეტყობინებას.

თუ საჭირო გახდება ავტონაწილების ჩამატება, საქონლის ცხრილურ ნაწილში შესაძლებელია ნომენკლატურის დამატება/საჭირო რაოდენობის ცვლილება. რაოდენობის ცვლილების შემდეგ უნდა გაფორმდეს შეკვეთა გადაადგილებაზე >>> საქონლის გადაადგილების დოკუმენტები, რომ ნაშთი გაუტოლდეს საჭირო რაოდენობას.

ზედმეტად მოთხოვნილი საქონლის დაბრუნება ავტონაწილების საწყობში

თუ მოთხოვნილი ავტონაწილების რაოდენობა აღმოჩნდება ზედმეტი, ვიდრე სერვისის გაწევისთვის რეალურად გაიხარჯა, აუცილებელია გაუხარჯავი ავტონაწილების დაბრუნება ავტონაწილების საწყობზე, რათა განაცხადის დოკუმენტით ავტონაწილების არასწორი რაოდენობა არ დარეალიზდეს.

საჭირო რაოდენობის ცვლილების შემდეგ, შესაძლებელია განაცხადის დოკუმენტის საფუძველზე გაფორმდეს საქონლის გადაადგილების დოკუმენტი.



საქონლის გადაადგილების დოკუმენტში გამგზავნი საწყობი შეივსება განაცხადის დოკუმენტში მითითებული სერვისის საწყობიდან, ხოლო მიმღები - ავტონაწილების საწყობიდან. ცხრილში კი გადავა მხოლოდ დასაბრუნებელი ნომენკლატურა შესაბამისი რაოდენობით.
გადაადგილების დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, განაცხადის დოკუმენტში გადათვლა

ღილაკით განახლდება ნაშთის ველი.



მას შემდეგ რაც საჭირო რაოდენობისა და ნაშთის ველების მნიშვნელობები იქნება ერთმანეთის ტოლი, შესაძლებელია დოკუმენტის დასრულება.

დასრულების ღილაკზე დაჭერით იცვლება განაცხადის დოკუმენტის სტატუსი აქტიურიდან დასრულებულზე და ავტომატურად იქმნება რეალიზაციის/საქონლის ჩამოწერის დოკუმენტი შესაბამისი ოპერაციის ტიპით.



დასრულებული განაცხადის დოკუმენტი იკეტება და დასრულების თარიღი ევსება ავტომატურად.

*დასრულებული დოკუმენტის რედაქტირება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრატორის უფლებების მქონდე იუზერით (ღილაკი კიდევ >>> **რეკვიზიტების რედაქტირების ნების დართვა**).*



დოკუმენტების ჩანართი

განაცხადის დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია საბანკო ბარათით გადახდის ოპერაციისა და სალაროს შემოსვლის ორდერის შექმნა.

იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტი დასრულებულია, საფუძველზე შექმნის ღილაკიდან არის მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის შექმნის შესაძლებლობა.



დოკუმენტების ჩანართზე გამოჩნდება ყველა ის დოკუმენტი, რაც განაცხადის საფუძველზე არის შექმნილი.



ოპერაციის ტიპი: მიწოდება კომპენსაციის გარეშე

მიწოდება კომპენსაციის გარეშე ოპერაციის ტიპის დროს, განაცხადის დოკუმენტის დასრულებისას იქმნება ამავე ოპერაციის ტიპის რეალიზაციის დოკუმენტი.
რეალიზაციის დოკუმენტში საქონლის ტიპის ნომენკლატურებს თვითღირებულება ევსება ავტომატურად იმ მომენტში არსებული თვითღირებულებით.
მომსახურების ტიპის ნომენკლატურებზე თვითღირებულების ველი შეივსება, ნომენკლატურაზე მითითებული ტარიფიდან. იმ შემთხვევაში, თუ ტარიფი არ არის შევსებული, შესაძლებელია რეალიზაციის დოკუმენტში ხელით მიეთითოს თვითღირებულება.



სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაწერა განაცხადის დოკუმენტიდან

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის დოკუმენტის ოპერაციის ტიპია მიწოდება კომპენსაციით ან მიწოდება კომპენსაციის გარეშე, სარდაფის ნაწილში ჩანს ლინკები: **სასაქონლო ზედნადების გაფორმება** და **ანგარიშ-ფაქტურის შექმნა.**

ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაწერა შესაძლებელია მხოლოდ დასრულებული სტატუსის მქონე განაცხადის დოკუმენტიდან და ავტომატურად ებმება საფუძველზე შექმნილ რეალიზაციას.

ოპერაციის ტიპი: გარანტია

გარანტიის შემთხვევაში განაცხადის დოკუმენტის საფუძველზე იქმნება საქონლის ჩამოწერის დოკუმენტი ოპერაციის ტიპით „სახარჯი მასალების ჩამოწერა“. ამ შემთხვევაში მომსახურების ჩანართზე არის მხოლოდ თანამშრომელთა გამომუშავების ცხრილი.

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტის გადავსება განაცხადის დოკუმენტიდან

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტში შესაძლებელია ინფორმაციის გადავსება განაცხადში დაფიქსირებული გამომუშავებული სამუშაოს მიხედვით. ამისთვის დარიცხვის დოკუმენტში, შევსება ღილაკში დაემატა მნიშვნელობა **„განაცხადის დოკუმენტის მიხედვით“**.



ღილაკზე დაჭერისას გამოდის დასრულებული განაცხადის დოკუმენტების სიის ფანჯარა. დოკუმენტის არჩევის შემდეგ დარიცხვის დოკუმენტში გადმოივსება ინფორმაცია თანამშრომლების, დარიცხვის ტიპის და თანხების შესახებ.

ავტოსერვისი პროფილი

წვდომის ჯგუფების პროფილებში დაემატა ახალი პროფილი “ავტოსერვისი” (ადმინისტრირება >>> მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები >>> წვდომის ჯგუფების პროფილები).
ავტოსერვისის პროფილს დეფოლტად გააქტიურებული აქვს ყველა ის უფლება, რაც საჭიროა ავტოსერვისის ფუნქციონალის სრულად გამოყენებისთვის



ასევე მომხმარებლის აწყობებში (ადმინისტრირება >>> მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები >>> მომხმარებლები >>> პარამეტრები) დაემატა **ავტოსერვისის საწყობი**, საიდანაც შესაძლებელია დაყენდეს სერვისის საწყობის დეფოლტ მნიშვნელობა განაცხადის დოკუმენტში ავტომატურად შევსებისთვის.

განაცხადის რეპორტი

ავტოსერვისის ფუნქციონალის გააქტიურებისას პროგრამაში დაემატება განაცხადის რეპორტი. რეპორტში ერთიანდება ინფორმაცია როგორც ღია ასევე დახურული სტატუსის მქონე დოკუმენტებიდან.



განაცხადის დოკუმენტი	ოპერაციის ტიპი	ავტომობილი	მფლობელი	სახელმწიფო ნომერი	გარბენი	ნომენკლატურის ტიპი	ნომენკლატურა
განაცხადის დოკუმენტი 11 - 01.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	S1W3Y8Z7B6	ელენე გურგენიძე	UV678WX		საქონელი	Goodyear UltraGrip Ice Arctic
განაცხადის დოკუმენტი 11 - 01.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	S1W3Y8Z7B6	ელენე გურგენიძე	UV678WX		მომსახურება	გამაგრილებლის, სამუხრუჭე სითხის შემოწმება;
განაცხადის დოკუმენტი 11 - 01.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	S1W3Y8Z7B6	ელენე გურგენიძე	UV678WX		მომსახურება	ზეთის, ჰაერის და სალონის ფილტრების შეცვლა;
განაცხადის დოკუმენტი 12 - 15.04.2024	გარანტია	H5P9Q2T4V6	გიორგი ფანჯიკიძე	NP345QR		საქონელი	Continental ContiWinterContact TS830P
განაცხადის დოკუმენტი 12 - 15.04.2024	გარანტია	H5P9Q2T4V6	გიორგი ფანჯიკიძე	NP345QR		საქონელი	Goodyear UltraGrip Ice Arctic
განაცხადის დოკუმენტი 12 - 15.04.2024	გარანტია	H5P9Q2T4V6	გიორგი ფანჯიკიძე	NP345QR		მომსახურება	გამაგრილებლის, სამუხრუჭე სითხის შემოწმება;
განაცხადის დოკუმენტი 12 - 15.04.2024	გარანტია	H5P9Q2T4V6	გიორგი ფანჯიკიძე	NP345QR		მომსახურება	ზეთის, ჰაერის და სალონის ფილტრების შეცვლა;
განაცხადის დოკუმენტი 1 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	R8E3G6T9W1	გიორგი ფანჯიკიძე	EF789GH		მომსახურება	გამაგრილებლის, სამუხრუჭე სითხის შემოწმება;
განაცხადის დოკუმენტი 1 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	R8E3G6T9W1	გიორგი ფანჯიკიძე	EF789GH		მომსახურება	ზეთის, ჰაერის და სალონის ფილტრების შეცვლა;
განაცხადის დოკუმენტი 2 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	R8E3G6T9W1	გიორგი ფანჯიკიძე	EF789GH		მომსახურება	გამაგრილებლის, სამუხრუჭე სითხის შემოწმება;
განაცხადის დოკუმენტი 2 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციის გარეშე	R8E3G6T9W1	გიორგი ფანჯიკიძე	EF789GH		მომსახურება	ზეთის, ჰაერის და სალონის ფილტრების შეცვლა;
განაცხადის დოკუმენტი 3 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციით	X3V5K7Q9S1	ლევან ბერიძე	CD234EF		სამუშაო	სამუშაო
განაცხადის დოკუმენტი 4 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციით	X3V5K7Q9S1	ლევან ბერიძე	CD234EF		საქონელი	Bridgestone Blizzak WS80
განაცხადის დოკუმენტი 4 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციით	X3V5K7Q9S1	ლევან ბერიძე	CD234EF		საქონელი	Continental ContiWinterContact TS830P
განაცხადის დოკუმენტი 4 - 17.04.2024	მიწოდება კომპენსაციით	X3V5K7Q9S1	ლევან ბერიძე	CD234EF		მომსახურება	ძრავის ზეთის შეცვლა
განაცხადის დოკუმენტი 10 - 18.04.2024	მიწოდება კომპენსაციით	X3V5K7Q9S1	ლევან ბერიძე	CD234EF		მომსახურება	გამაგრილებლის, სამუხრუჭე სითხის შემოწმება;

სტანდარტულ ვარიანტში ინფორმაცია ჩაშლილია ნომენკლატურების ჭრილში. ფილტრის დადება შესაძლებელია დასრულების/შექმნის პერიოდების, მყიდველის და ავტომობილის ჭრილში. რეპორტი რედაქტირებადია, შესაძლებელია მომხმარებელმა გამოიტანოს მონაცემები სურვილისამებრ და შეინახოს ახალ ანგარიშგების ახალ ვარიანტად.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია ნაკრების რეალიზაციის ხარვეზი, როდესაც მაკომპლექტებლების აღრიცხვის ანგარიში განსხვავებულია ნაკრების აღრიცხვის ანგარიშისგან
- გასწორებულია ძირითადი საშუალების ჩამოწერისას ჩამოწერის გატარების ხარვეზი, როდესაც შემოსავალ-ხარჯების ანალიტიკა გამორთულია
- გასწორებულია სერიული საქონლის აპლიკაციიდან რეალიზაციის ხარვეზი
- გასწორებულია დარიცხვის ტიპის დასრულების თარიღის აღქმის ხარვეზი, როდესაც ჩართულია ხელფასის გამარტივებული აღრიცხვა
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარეში უკან დაბრუნების ფუნქციონალის ხარვეზი
- გასწორებულია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალების სტატუსის ხარვეზი
- გასწორებულია ფსმ მუხლების სიაში გადაადგილების ხარვეზი
- გასწორებულია შეკვეთის დამუშავებაში სავაჭრო წარმომადგენლის ფილტრის ხარვეზი
- გასწორებულია შეკვეთის დამუშავებიდან სერიულ ნომენკლატურაზე რეალიზაციის შექმნის ხარვეზი
- გასწორებულია ერთდროულად რამდენიმე ძირითადი საშუალების შექმნის ხარვეზი, როცა ამორთულია რაოდენობრივი აღრიცხვა

სხვა მოდიფიკაციები

- ინვოისების პაკეტური შეცვლის ავტომატურად გაშვების შესაძლებლობა
- ზედნადებსა და ანგარიშ-ფაქტურაში კომენტარი ველის ავტომატური შევსება
- საქონელი სადისტრიბუციოდ დოკუმენტში ქუდის მონაცემების შევსება სავაჭრო წარმომადგენლიდან